ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა

ქალაქ თბილისი, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ. თბილისი

19.06.2015 წ.
14:00 სთ.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

*გიორგი კოპალეიშვილი* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

*არჩილ ჩარგეიშვილი* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიმართულებით საკითხთა დარგში, საკონკურსო კომისიის წევრი.

*დავით ხერხეულიძე* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო და ბიუჯეტირების განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

*მერი დევდარიანი* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო და ბიუჯეტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

*თამარ გეგია* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის აპარატის თანაშემწე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

*სხდომას არ ესწრებოდა:*

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული შესაბამისი დარგის სპეციალისტები:

- *ნიკოლოზ ზაზუნიშვილი* - სანებართვო პირობების განყოფილების უფროსი;

- *ირინე საბაშვილი* - ნებართვების სამსახურის უფროსი;
- *დიანა ბოლოთაშვილი* - ძეგლთა შეფასება - რეაბილიტაციის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2015 წლის 29 მაისს გამოცხადებულ N1680 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება.**

*კომისიამ მოისმინა:*

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრის თამარ გეგიას გამოსვლა, რომელმაც კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საჭიროა 2 (ორი) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა და შეფასება:

1. შპს „რესტავრატორები და კომპანია";
2. შპს „გეომეფი".

ასევე, მან გააცნო კომისიის წევრებს მოწვეული სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დასკვნა (იხ. დანართი), რომელიც გათვალისწინებულ იქნა კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტთა შეფასების დროს.

*განხილვა და შეფასება:*

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული წესისი მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიის წევრების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული და საკონკურსო წინადადების ფასის კომპონენტების (საკონკურსო შეფასების მონაცემები თან ერთვის ოქმს) საფუძველზე, ქ. თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენატაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1680 კონკურსში გამარჯვებულად გამოავლინა შპს „რესტავრატორები და კომპანია" (სამი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი).

*კომისიამ დაადგინა:*

1. ქ. თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენატაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1680 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „რესტავრატორები და კომპანია".
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (contest@procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია";

3. ქ. თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-10 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება;
4. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მონაწილე კონკურსანტებს.

| | | |
|---|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | | /გიორგი კოპალეიშვილი/ |
| კომისიის წევრი | | /არჩილ ჩარგეიშვილი/ |
| კომისიის წევრი | | /დავით ხერხეულიძე / |
| აპარატის წევრი | | /მერი დევდარიანი/ |
| აპარატის წევრი | | /თამარ გეგია/ |

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ქალაქ თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2015 წლის 29 მაისს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების N1680) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება

კომისიის წევრი: გიორგი კოპალეიშვილი

| N | კონკურსანტის დასახელება | კვალიფიკაცია K=0.4 | | სადემონსტრაციო მასალა K=0.4 | | საკონკურსო წინადადების ფასი K=0.2 | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | შედეგი | ქულა | შედეგი | ქულა | შედეგი | |
| 1 | შპს "რესტავრატორები და კომპანია" | 8 | 3,2 | 8 | 3,2 | 7 | 1,4 | 7,8 |
| 2 | შპს "გეომეფი" | 8 | 3,2 | 6 | 2,4 | 8 | 1,6 | 7,2 |

**გამარჯვებულად გამოვლინდა:** შპს "რესტავრატორები და კომპანია"

**საკონკურსო კომისიის წევრის ხელმოწერა:**

19 ივნისი 2015
(თარიღი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ქალაქ თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2015 წლის 29 მაისს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების N1680) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება

კომისიის წევრი: არჩილ ჩარგეიშვილი

| N | კონკურსანტის დასახელება | კვალიფიკაცია K=0.4 | | სადემონსტრაციო მასალა K=0.4 | | საკონკურსო წინადადების ფასი K=0.2 | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | შედეგი | ქულა | შედეგი | ქულა | შედეგი | |
| 1 | შპს "რესტავრატორები და კომპანია" | 8 | 3,2 | 8 | 3,2 | 7 | 1,4 | 7,8 |
| 2 | შპს "გეომეფი" | 8 | 3,2 | 7 | 2,8 | 8 | 1,6 | 7,6 |

გამარჯვებულად გამოვლინდა: შპს. „რესტავრატორები და კომპანია"

საკონკურსო კომისიის წევრის ხელმოწერა:

19. ივნისი 2015
(თარიღი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ქალაქ თბილისში, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2015 წლის 29 მაისს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების N1680) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება

კომისიის წევრი: დავით ხერხეულიძე

| N | კონკურსანტის დასახელება | კვალიფიკაცია K=0.4 | | სადემონსტრაციო მასალა K=0.4 | | საკონკურსო წინადადების ფასი K=0.2 | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | შედეგი | ქულა | შედეგი | ქულა | შედეგი | |
| 1 | შპს "რესტავრატორები და კომპანია" | 9 | 3,6 | 8 | 3,2 | 7 | 1,4 | 8,2 |
| 2 | შპს "გეომეფი" | 9 | 3,6 | 7 | 2,8 | 8 | 1,6 | 8 |

გამარჯვებულად გამოვლინდა: შპს „რესტავრატორები და კომპანია"

საკონკურსო კომისიის წევრის ხელმოწერა:

19.06.2015წ.
(თარიღი)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
**Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation**

№ 15/12/1181 "18" 06 2015წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი
კრწანისის რაიონის გამგებელს
ბატონ გიორგი კოპალეიშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების წინასაპროექტო საკონკურსო წინადადებებზე სააგენტოს სპეციალისტების დასკვნას.

დანართი: დასკვნა – 2 ფ.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი პაატა დოლიძე

ქ. თბილისის კრწანისის რაიონის
№ 06/159569562-44
18.06 2015 ფურც.
თბილისი 0114 გორგასლის ქ. №115

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების წინასაპროექტო საკონკურსო წინადადებებზე

დასკვნა

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია შესყიდვის ობიექტის: „ქ. თბილისი, ნარიყალას ციხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება“, მოთხოვნათა მე-5 პუნქტის 5.3.2 და 5.3.3-ის შესაბამისად, ორი პრეტენდენტის მიერ: შპს „რესტავრატორები და კომპანია“ და შპს „გეომეფი“.

შპს „რესტავრატორები და კომპანია“-ს წარმოდგენილი, კომპანიის შესრულებული სამუშაოთა ნუსხა და პროექტში მონაწილე სპეციალისტების ჩამონათვალი (არქიტექტორ-რესტავრატორები: ტ. კიპაროიძე, ი. ბანძელაძე, გ. სუთიძე, ე. ნაროუშვილი, მ. კვიციანი, ლ. შარტავა; ხელოვნებათმცოდნეები: დ. თუმანიშვილი, ირ. ელიზბარაშვილი; ინჟინერ-კონსტრუქტორი; საშენ მასალათა და ნაკეთობათა ტექნოლოგი თ. იაქაშვილი; არქეოლოგი მ. ძნელაძე; ინჟინერ-ჰიდროლოგი: გ. სეთურიძე, ლ. გორგიძე და რ. ყაველაშვილი; ინჟინერ-ექსპერტი გ. ბედუკაძე) და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, წარმოდგენილ სპეციალისტებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება როგორც კონკრეტულად საკონკურსო, ასევე მსგავსი ობიექტების კვლევითი, საპროექტო და ფიზიკური. სამუშაოების შესრულებაში.

ძეგლის არსებული მდგომარეობის აღწერა და დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება, აღნიშნული კომპანიის მიერ, მის ხელთ არსებული თეორიული და გრაფიკული მასალების საფუძველზე, წარმოდგენილია სიღრმისეულად. ამასთან, დარგობრივ სპეციალისტებს წლების განმავლობაში განხორციელებული ცალკეული კვლევების საფუძველზე, კომპეტენციის ფარლებში შემოთავაზებული აქვთ მოსაზრებები ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართულებით.

საკონკურსო წინადადებაში მოცემული სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და კონცეფცია სრულად ასახავს ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის გასაჯანსაღებელი და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პირობებს. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია ძეგლისა და მისი გარემოს ურბანული ინტერვენციისა და კულტურული ლანდშაფტის ხელყოფისგან დასაცავად, ციხის ისტორიული საზღვრების აღდგენა.

შპს „გეომეფი“-სა და BALAM CONSULTORES SL-ის წარმოდგენილი, კომპანიების შესრულებული სამუშაოთა ნუსხა და პროექტში მონაწილე სპეციალისტების

ჩამონათვალი (არქეოლოგი რ. პაპუაშვილი; არქიტექტორი: ვინსენტე დუალტე ვინეტა და ელიო კანტერო რამონ; ინჟინერ-გეოლოგი ნ. ლამპარაძე; ხელოვნებათმცოდნე თ. ჯალაღანია; საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები) და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, წარმოდგენილ სპეციალისტებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება მსგავსი ობიექტების კვლევითი, საპროექტო და ფიზიკური სამუშაოების შესრულებაში.

ძეგლის არსებული მდგომარეობის აღწერა, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილია ზოგადად.

საკონკურსო წინადადებაში მოცემული სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და კონცეფცია სრულად ასახავს ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა-ფიქსაციის, შემდგომ გასაჯანსაღებელი და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პირობებს. შემოთავაზებულია წინასაპროექტო ანალიზი, რაც მდგომარეობს მონაცემთა შეგროვებაში, კვლევების ჩატარებაში, პათოლოგიების და დაზიანებების დიაგნოსტიკასა და პრიორიტეტების დადგენაში. წინასაპროექტო ანალიზის საფუძველზე გათვალისწინებულია მიზნების, ქმედებების, კრიტერიუმების დადგენა და ძეგლზე ინტერვენციის განსაზღვრა. გათვალისწინებულია აგრეთვე სამომავლო პროექტების დაგეგმვაც.

წარმოდგენილი წინადადებების შესწავლის საფუძველზე ვასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ კომპანიებს, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, შესრულებული აქვთ მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების რეაბილიტაციის სამუშაოები. მათი ხედვები იდენტურია, რომელიც მოიცავს ძეგლთა კვლევისა და პროექტირების აპრობირებულ თანმიმდევრობას. ნარიყალას სარეაბილიტაციო სამუშაოთა აღწერილობა და მეთოდური მიდგომები სადემონსტრაციო მასალა წარმოდგენილია საკონკურსო პირობების მოთხოვნათა დაცვით.

ნიკოლოზ ზაზუნიშვილი

ირინე საბაშვილი

დიანა ბოლოთაშვილი

17.06.2015 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
**Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation**

№ 15/12/1188 „19" 06 2015წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი

კრწანისის რაიონის გამგებელს

ბატონ გიორგი კოპალეიშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების წინასაპროექტო საკონკურსო წინადადებებზე სააგენტოს სპეციალისტების დასკვნას.

დანართი: დასკვნა - 2 ფ.

პატივისცემით,

გენერალური დირექორის

მოვალეობის შემსრულებელი პაატა დოლიძე

ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა
№ 06/151170495-44
19.06. 2015 ვწურ.
თბილისი 0114 გორგასლის ქ. №115

0105 ქ.თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ: 2 932 411, 2 932 304; ფაქსი (+995 32) 2 932 304

# საექსპერტო დასკვნა

კრწანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ კონკურში, რომელიც ეხება ნარიყალას ციხის რეაბილიტაციის პროეტის შედგენას, საკონკურსო განაცხადი შემოიტანა ორმა კომპანიამ, ესენია შპს „რესტავრატორები და კომპანია“ და შპს „გეომეფი“. გავეცანი ორივე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც წარმოგიდგენთ აღნიშნულ დასკვნას:

შპს „რესტავრატორები და კომპანია“

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ნარიყალას ციხის საპროექტო სამუშოების თანხა წარმოადგენს 129 909 ლარს. სამუშაოების განხგძლივობა განისაზღვრება 5 თვით. საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილია, როგორც ნარიყალას ციხის ისტორია და მნიშვნელობა, ასევე დეტალურადაა აღწერილია 90-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების ისტორია. საკონკურსო წინადადების მიხედვით ძეგლის ანაზომების შესრულება მოხდება ლაზერული სკანერი მეშვეობით.

თანდართული CV-ების მიხედვით შპს „რესტავრატორები და კომპანია“ს სამუშაო ჯგუფში ჩართულია არქიტექტორი, რომელიც ნარიყალას ციხის 90-იან წლებში შესრულებული სამუშაოების ავტორია და შესაბამისად ძეგლის შესახებ უამრავ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. წარმოდგენილია ჩასატარებული სამუშაოების ჩამონათვალი, აღწერილია კრიტიკული ადგილები და სავარაუდოდ რას უნდა მიექცეს საპროექტო სამუშაოების დროს ყურადღება. სამუშაო ჯგუფში საკმაოდ წარმომადგენლობითი შემადგენლობა: ჩართულია ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, რესტავრატორები, ინჟინერ-მშენებლები, გეოლოგი, ჰიდროლოგი, საშენ მასალათა ტექნოლოგი.

შპს „გეომეფი“.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ნარიყალას ციხის საპროექტო სამუშოების თანხა წარმოადგენს 128 731 ლარს. სამუშაოების განხგძლივობა განისაზღვრება შემდეგნაირად : პირველი ეტაპის ჩაბარების ვადა - 24 აგვისტო, მეორე ეტაპის ჩაბარების ვადა - 17 ნოემბერი. პროეტში ჩართული არიან ესპანელი არქიტექტორები. ასევე ჩართულია ესპანური საკონსულტაციო კომპანია, რომელთაც ჩამოთვლილი სამუშაოების მიხედვით დიდი გამოცდილება გააჩნიათ, როგორც გარე საინჟინრო კომუნიკაციების, ურბანული და

თანამედროვე ნაგებობების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

საკონკურსო წინადადების მიხედვით ძეგლის ანაზომების შესრულება მოხდება ფოტოგრამეტრიის მეშვეობით.

კომპანიის მიერ შესწავლილი მასალა ნარიყალას ციხეზე გასულ წლებში ჩატარებული რესტავრაციის შესახებ საკმაოდ მწირია.

ჩასატარებელი საკონკურსო წინადადების მიხედვით, დეტალურადაა აღწერილი ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი. შემოთავაზების მიხედვით პროექტირების გამოყენებული იქნება თანამედროვე საინფორმაციო სისტემები თუ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები. ასევე ჩამოთვლილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალათა გამძლეობისა და ჩასატარებელი კვლევითი სამუშოების დეტალური ჩამონათვალი.

დასკანერებულ დოკუმენტებში, წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების ჩამონათვალი, თუმცა ზოგიერთ ფურცელზე მკაფიოდ არ იკითხება ეს თუ ის ტექსტი.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი CV-ების მიხედვით საპროექტო სამუშაოებში ჩართულია ორი ესპანელი არქიტექტორი, არქეოლოგი, გეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე.

დ. ბოლოთაშვილი